პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ხუთშაბათი 9 ივნისი № 134 (16874) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საიუბილეო ვაჩარი

შეჯიბრების დღიური

ექვსი თვის დავალება — ვადამდე

ზუგდიდი. მთელი დატვირთვით მუშაობენ ენგურჰესის ვარდნილას ოთხივე ჰიდროელექტროსადგურის ტურბინები. ჰიდროელექტროსადგურებისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მაისის თვე. ელექტროენერგიის გამომუშავებამ რეკორდულ მაჩვენებელს — 75 მილიონ 500 ათას კილოვატ-საათს მიაღწია.

დღეს მთელი კოლექტივი იმისათვის იღვწის, რომ საიუბილეო წელს მიღიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის გამომუშავება იზეიმოს.

საიუბილეო ვასტზე წარმატებებს აღწევენ და ყოველდღე ორი დღის ნორმას ანაღდებენ ზეინკალი გ. სარუა, ჰიდროტურბინების მემანქანე ტ. სატამლაძე, მართვის ხაზის მორიგე ვ. ზარქუა და სხვები. (სპპ. კორ.).

ახალციხე. (საკ. კორ.). გასული წლის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა თხევადი გაზის ძირეული ბაზის კოლექტივმა ვადაზე ათი დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა სუთი თვის დავალება. მაისის ბოლოდან ეგზეის გადაპეტებით ჩაბოასხა და სარეალიზაციოდ მომზარებელს მიაწოდა 250 ტონაზე მეტი თხევადი გაზი.

ტონა გაზის თვითღირებულება აქ 1 მანეთითა და 26 კაპიკით შემცირეს, შრომის ნაყოფიერება კი 8 პროცენტით გაიზარდა.

რაციონალიზატორი, დამრიგებელი

ბ ეხუთე თანრიგის მეინტერუმენტე-ზეინკალი ალექსი ქიქაძე თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანაში მუშაობს.

უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც იგი ამ საწარმოშია და ამ ხნის მანძილზე წარმოებაში 82 რაციონალიზატორული წინადადება დანერგა. საწარმოს ათასობით მანეთი დაუზოგა მისმა ორიგინალურმა სიახლეებმა.

ჩინებული მუშაკი, აქტიური რაციონალიზატორი ა. ქიქაძე კარგი დამრიგებელია.

სურათზე: კომუნისტი ა. ქიქაძე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ამხ. გეს ჰოლს

8 ივნისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ამხანაგ გეს ჰოლს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ბ. ნ. პონომარიოვი.

სუფრის დროს გაიმართა მეგობრული აზრთა გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური მოძრაობის საკითხებზე.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ამხ. გ. ჰოლს გააცნო, თუ როგორ სრულდება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, აგრეთვე ჩვენი პარტიის საქმიანობა და გეგმები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის წელს, ესაუბრა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტზე.

ამხ. გეს ჰოლმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებს, ნათლად რომ გამოიხატა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომლის მიღებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ენენება და კიდევ უფრო რელიეფურად გამოხატავს სოციალიზმის უპირატესობებს, თვალსაჩინოდ დაადასტურებს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას, საბჭოთა ადამიანების რეალურ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს. გეს ჰოლმა ხაზგასმით აღნიშნა იმ ფაქტის საკანგებო მნიშვნელობა, რომ მშვიდობისმოყვარეული ლენინური საგარეო პოლიტიკა ისტორიაში პირველად გამოცხადდა კონსტიტუციურ პრინციპად.

საერთაშორისო პრობლემების განხილვისას ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად ისწრაფვის განამტკიცოს მშვიდობა, შეაკავოს გამალებული შეიარაღება; მან მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას თანასწორუფლებიანობის, ერთურთის ინტერესების პატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საწყისებით, სადავო პრობლემების გადაჭრას დაძაბულობის შენელების და სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

ამხ. გეს ჰოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა ხრიკების, ანტისაბჭოთა კამპანიის მიზანია ჩაშალონ ურთიერთმისაღებ მორიგებათა მიღწევა ყველა ხალხების ინტერესებთან დაკავშირებულ უდიდეს პრობლემებზე და დაობკოლონ საერთაშორისო ურთიერთობის პოზიტიური განვითარება. მან თქვა, რომ ამერიკელი ხალხის ფართო მასები, რომლებიც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოშრეფნი არიან, დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი, მისი მიღწევებისადმი. ამხ. გეს ჰოლმა აღნიშნა, რომ ამერიკელთა უმრავლესობას გულწრფელად სწადია ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობის გუმჯობესება.

შეხვედრამ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ორი პარტიის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი სრული ურთიერთგაგების, გულთბილობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა ისმაილ ფაჰმი

ორმხრივი მორიგების თანახმად 8 ივნისს მოსკოვში ეგვიპტის ჩამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ფაჰმი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

კიდევ უფრო გაანავითარეთ პროფესიულ-ტექნიკური განათლება

ეროვნულივად მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში პარტიულმა ორგანოებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და მისმა სასწავლებლებმა განათლების ორგანოებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, ზოგიერთ საბაზო სამინისტროსთან, უწყებასა და საწარმოსთან ერთად გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარებასა და სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა მუშათა კადრების მომზადებაში.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე გაფართოვდა დღის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელი, მოსწავლეთა მიღება პროფტექნიკურ სასწავლებლებში გაიზარდა 1,2-ჯერ და მეტად, ამასთან საშუალო სასწავლებლებში — 4,3-ჯერ. 1971-1975 წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ მიიღო 105 ათასი კვალიფიციური მუშა, ამაღლდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონე, რამდენადმე გაუმჯობესდა კვალიფიციურ მუშათა მომზადება და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მათი შენარჩუნება.

ამასთან, ნათქვამია დადგენილებაში, მთელი რიგი გადაუჭრელი საკითხები აფერხებენ პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომ განვითარებას და კვალიფიციური მუშათა კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფას.

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და იმ ამოცანების წარმატებით შესრულების მიზნით, რომლებიც ამ სისტემას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა დაუსახა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს /პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს გაუფრთხილოს ახალგაზრდა მუშათა კადრების მომზადების ხარისხი, აამაღლოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და პროფესიული მომზადების დონე, გაამლიეროს მუშობა იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჩაუნერგოს კომუნისტური მსოფლმხედველობა და მტკიცე რწმენა, მაღალი მორალური თვისებები, შრომისადმი ღრმა პატივისცემა, არაჩვეული პროფესიის სიყვარული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს, პროფტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელებსა და პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა საწარმოო სწავლების მასწავლებლებსა და ოსტატებს შორის, აამაღლონ თითოეულის პერსონალური პასუხისმგებლობა მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხისათვის, მათი პროფესიული ცოდნისა და მორალურ-პოლიტიკური სახისათვის, გაუღიავონ მათ თავიანთი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, სიამაყე მუშის პროფესიისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბაზო სამინისტროების, უწყებების, სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს პირსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის და დაავალეს მათ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებში ყოველწლიურად გაითვალისწინონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის თანამედროვე მოწყობილობის, მანქანებისა და ხელსაწყოების გამოყოფა, სასწავლო მიზნებისათვის უფასოდ გადასცენ სასწავლებლებს ახალი ჩარხები, ავტომატიკა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ინსტრუმენტები და მასალები, რაც აკლიათ.

დადგენილებაში დასახულია კიდევ მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ, კერძოდ, მექანიზატორთა კადრების მომზადების დაჩქარებას და ამ კადრებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფას, სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების გაფართოებას, პროფტექნიკური განათლების ობიექტების მშენებლობის დაჩქარებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას და სხვ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს კომპარტიის სოლოქა, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეუნერგელი კონტროლი დაუწესონ საბაზო საწარმოთა მუშაობას პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის განმტკიცებისათვის, ქმედითი დახმარება გაუწიონ სისტემას მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებაში, მასწავლებლების, ოსტატებისა და დამრიგებლების კადრებით მის დაკომპლექტებაში, ღირსეული ახალგაზრდობის შერჩევისა და პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში მათს მიღებაში. (საქინფორმი).

გამოიცა ცალკე ბროშურად

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“.

ბროშურა მასობრივ ტირაჟად გამოვიდა. (საკდესი).

ურთიერთხელსაყრელი კურსით

შარშან ჩვენს ქვეყანასა და საფრანგეთს შორის ვაჭრობის მოცულობა 30 პროცენტით და მეტად გაიზარდა და 1,7 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ეს მონაცემები დაასახელეს 8 ივნისს მოსკოვში გამართულ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის მე-11 გენერალურ ასამბლეაზე.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას ასამბლეის მონაწილეებისადმი.

1967 წელს დაარსებულ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატაში ახლა 400-ზე მეტი საბჭოთა და ფრანგული საგარეოსავაჭრო ორგანიზაცია, ფირმა, კომპანია, ბანკი, ასოციაცია შედის.

პლენარიულ სხდომაზე აირჩიეს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის ადმინისტრაციული საბჭოს ახალი შემადგენლობა. მის თავმჯდომარედ დარჩა რ. ნოუნერსერი — საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე. (საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

7 ივნისს მოსკოვიდან პარიზში გაემგზავრა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. დე გირენგო, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ოროდრომზე ლ. დე გირენგოს გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკდესი).

„კოსმოს-915“

1977 წლის 8 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-915“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას, აპარატურა ნორმალურად მუშაობს, საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს კომისიებს დასკვნისთვის გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ რატიფიკაციისათვის წარმოდგენილი ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც 1977 წლის 31 მარტს დაიდო მაპუტოში.

სსრ კავშირში ირანის სამხედრო ხომალდების ვიზიტის გამო

ვიღეული შეთანხმების შესაბამისად ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდების რაზმი, რომლის შემადგენლობაშია ფრეგატები „საამი“ და „ზაალი“, ოდესის ნავსადგურში სპასუხო ოფიციალური ვიზიტით ჩავა ამა წლის 11-14 ივნისს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

8 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბრძანებულებანი გამოსცა:

**ბრძანებულებანი ორ ორდენოსანი ბ. ოსეფ ბ. ბ. ბ.

საიმედო გზა

პარტიული ცხოვრება: მუშაობის ლენინური სტილისათვის

მეათე ხუთწლედში დიდი სახსრები ხმარდება საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას, რაც საშუალებას მოგვცემს მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით მივაღწიოთ პროდუქციის მაქსიმალურ მატებას. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვისაც. წარმოების მოცულობა ხუთწლეულის მანძილზე აქ 41 პროცენტით უნდა გაიზარდოს — ასეთი ტემპი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სწრაფად მივიღებთ უკუგებას მოქმედი საწარმოების, მეტადრე მსხვილი სამრეწველო კომბინატების გაფართოებისა და მოდერნიზაციისათვის გამოყენებული კაპიტალური დაბანდებებისაგან. პროდუქციის საერთო მატებიდან, რაც 2.449 მილიონ მანეთს შეადგენს, მილიარდ-ნახევარი, ანუ 62 პროცენტი, გათვალისწინებულია მივიღოთ რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა რესპუბლიკაში წინათაც წარმოებდა, მაგრამ იგი ეპიზოდური ხასიათისა განხდათ და საკმარისად მიზანდასახული არ იყო. მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება მინიმალური დანახარჯებით საწარმოთა რეკონსტრუქციის საქმეში სვერდლოვსკელთა გამოცდილების შესახებ. ამ გამოცდილების შესასწავლად სვერდლოვსკში გაიგზავნა საქართველოს პარტიულ და სამეურნეო მუშაკთა რამდენიმე ჯგუფი. ისინი ადგილზე ეცნობიდნენ მუშაობის პრაქტიკას, მონაწილეობდნენ საკავშირო სემინარში. გამოყენებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე სვერდლოვსკელთა ექსპოზიციის მასალებიც.

განხორციელდა ბევრი ორგანიზაციული ღონისძიება. სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებში შეიქმნა და ნაყოფიერად მოქმედებენ რეკონსტრუქციის სპეციალური ჯგუფები. დაგეგმვიხა და კოორდინაციის შესაბამისი განყოფილება შეიქმნა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში. მან შეიმუშავა ღონისძიებები ახლანდელი ხუთწლედისათვის. მათს შესრულებაში კონკრეტულ ნაბიჯებს ფართოდ უწევენ პროპაგანდას საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ამ მუშაობას, იზრუნეს იმისათვის, რომ ყველა ხამეურნეო ხელმძღვანელმა და სპეციალისტმა მთავარი ყურადღება დაუთმოს რეკონსტრუქციის პრობლემებს. დიდი ღონისძიებებია დასახული რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და ქიმიურ კომბინატში, ქუთაისის საავტომობილო და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში, მანქანათმშენებლობის მთელ რიგ ობიექტებზე. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში ჩაბმულ მშრომელთა მეტი წილი პატრიოტული თაოსნობები მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოთა ტექნიკური ზრდის ამოცანების გადაწყვეტასთან.

განსაკუთრებით საყურადღებოა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტთა პრაქტიკა. რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიული განხილვისათვის აქ შექმნეს შტაბი, რომელშიც სიუკეთესო მუშები და სპეციალისტები შევიდნენ. ტექნიკური განახლების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ პარტიულ კომიტეტში, კომუნისტთა საამქრო კრებებზე. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია თანამიმდევრულად იღებს იმისათვის, რომ დახახული გეგმები კომპლექსური იყოს, იმ ორგანიზაციული. ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების სისტემას შეადგენდეს, რომელთა მიზანია მაქსიმალური ეფექტის მიღწევა მინიმალური დანახარჯებით. საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა მეათე ხუთწლედში რეკონსტრუქციის გზით ათმაღლოს ყველა თავისი მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად შეამციროს ხელის შრომის წილი, უფრო ფართოდ გამოიყენოს მართვაში ავტომატიზაციის საშუალებები. თუ ჯის წარმოება გაიზრდება 420 ათასი ტონით, ფოლადისა — 300 ათასი ტონით, ფოლადის ფურცლისა — 130 ათასი ტონით, ნაკეთობათა 35 პროცენტი ხარისხის ნიშნით უნდა გამოუშვან.

ტექნიკური ზრდის ფართო პროგრამა დასახულია ჭუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ხავტომობილო ქარხანაში. იგი მოიწონა საკავშირო დარგობრივმა სამინისტრომ და წარმატებით დაუთმოს რეკონსტრუქციის პრობლემებს. დიდი ღონისძიებებია დასახული რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და ქიმიურ კომბინატში, ქუთაისის საავტომობილო და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში, მანქანათმშენებლობის მთელ რიგ ობიექტებზე. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში ჩაბმულ მშრომელთა მეტი წილი პატრიოტული თაოსნობები მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოთა ტექნიკური ზრდის ამოცანების გადაწყვეტასთან.

განსაკუთრებით საყურადღებოა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტთა პრაქტიკა. რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიული განხილვისათვის აქ შექმნეს შტაბი, რომელშიც სიუკეთესო მუშები და სპეციალისტები შევიდნენ. ტექნიკური განახლების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ პარტიულ კომიტეტში, კომუნისტთა საამქრო კრებებზე. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია თანამიმდევრულად იღებს იმისათვის, რომ დახახული გეგმები კომპლექსური იყოს, იმ ორგანიზაციული. ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების სისტემას შეადგენდეს, რომელთა მიზანია მაქსიმალური ეფექტის მიღწევა მინიმალური დანახარჯებით. საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა მეათე ხუთწლედში რეკონსტრუქციის გზით ათმაღლოს ყველა თავისი მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად შეამციროს ხელის შრომის წილი, უფრო ფართოდ გამოიყენოს მართვაში ავტომატიზაციის საშუალებები. თუ ჯის წარმოება გაიზრდება 420 ათასი ტონით, ფოლადისა — 300 ათასი ტონით, ფოლადის ფურცლისა — 130 ათასი ტონით, ნაკეთობათა 35 პროცენტი ხარისხის ნიშნით უნდა გამოუშვან.

ტექნიკური ზრდის ფართო პროგრამა დასახულია ჭუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ხავტომობილო ქარხანაში. იგი მოიწონა საკავშირო დარგობრივმა სამინისტრომ და წარმატებით დაუთმოს რეკონსტრუქციის პრობლემებს. წარმოების გაუჩერებლად საწარმო გადავიდა ახალი პროდუქციის — „კაზ-608ვ“ ავტომობილის გამოშვებაზე. რეკონსტრუქცია ხაშუალებას მოგვცემს 1975 წლთან შედარებით ავტომობილების წარმოება გავზარდოთ 37 პროცენტით, ნახევარმისაბმელებისა—90 პროცენტით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა რუსთაველ მეტალურგთა და ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა ინიციატივას. პარტიულ კომიტეტებს ურჩია მუდამ თვალთახედვის არეში იქონიონ რეკონსტრუქციის პრობლემები. ბევრ საწარმოში შეიქმნა სამუშაოთა მსვლელობისადმი კონტროლის კომისიები, შედგენილია ტექნიკური განახლების კომპლექსური გეგმები, რომლებიც განხილულია კოლექტივების საერთო კრებებზე, აგრეთვე საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულ, ტექნიკურ-ეკონომიკური ხაბჭოების სხდომებზე. ეწყობა რეზერვების საზოგადოებრივი დათვალიერებები. ხაამქროებში და უბნებზე, სადაც რეკონსტრუქციის სამუშაოები მიმდინარეობს, იქმნება დროებითი პარტიული ჯგუფები, დანერგილია მშენებლებთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვა.

ტექნიკურ განახლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შეუშავებისა და განხორციელების დროს კომუნისტები საკითხთა ვადაჭრისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის მაგალითს გვიჩვენებენ. შეუწყნარებლად ეკიდებიან სხვისი მოიმედეობის, კუთხურობისა და უწყებრიობის ფაქტებს. ასეთი ფაქტები კი, სამწუხაროდ, გვხვდება ხოლმე. ზოგჯერ ვლინდება რეკონსტრუქციის თვით არსის არასწორი გაგება, ირღვევა ძირითადი პრინციპი — მივაღწიოთ მაღალ შედეგს მინიმალური დანახარჯებით. ამას წინათ, მაგალითად, ერთ-ერთმა საპროექტო ორგანიზაციამ წარმოადგინა გორის ბამბეულის კომბინატის რეკონსტრუქციის გეგმა: საწარმოს სიმძლავრეები შედარებით მცირედ უნდა გაზრდილიყო, მაგრამ პროექტი განუზომლად დიდ კაპიტალურ დაბანდებას ითვალისწინებდა. ცხადია, ასეთი პროექტის მოწონება არ შეიძლება.

სხვა შემთხვევებში ხუსტად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, ეკონდება თავისებური შეზღუდულობა, ვიწრო შეხედულება. მაგალითად, ხაარწოო გაერთიანება „ლენომანქანის“ თბილისის ორ მანქანათსაშენებელ ქარხანაში, რომლებიც მელვინეობის მრეწველობისათვის საჭირო ისეთ ტექნოლოგიურ მოწყობილობას უშვებენ, რომელზეც დიდი მოთხოვნაა, დიდი ხანია მომწიფდა კომპლექსური განახლების საკითხი. ამის ნაცვლად აქ წვრილმან, ნაკლებად ეფექტიან ღონისძიებებს სჯერდებიან. მოგვიხდა გაგვიფრთხილებინა საწარმოთა და გაერთიანების ხელმძღვანელები ოა პარტიული ორგანიზაციები: არ შეიძლება იცხოვრო მხოლოდ დღევანდელი ხაზრუნვაით და არ იფიქრო წარმოების პერსპექტივაზე. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ ტექნიკური განახლების ხახსრები გამოყოფილია, მაგრამ გაერთიანება მზად არ არის მათი ეფექტიანი გამოყენებისათვის.

ჩვენი აზრით, რეკონსტრუქციის საკითხებს ყოველთვის სწორად არ ეკიდებიან სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. ზოგიერთი მათგანი დაახლოებით ასე მსჯელობს: ახალი მშენებლობა — დიდი სიამოვნებით, რეკონსტრუქცია კი ჩვენთვის ხახათაბალო საქმეა და ხელს არ გვაძლევსო. სამწუხაროდ, ამ მსჯელობას ხშირად მოქმედებით განამტკიცებენ. განა ასეთ დამოკიდებულებას არ მოწმობს. ვთქვათ, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში მომხდარი ფაქტი? მეათე ხუთწლედში აქ რეკონსტრუქციის გზით გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაადიდონ კორდახა და ტექნიკური ნაწარმისათვის საჭირო კაპრონის ძაფების გამოშვება. ამისათვის ხსნა კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ საჭირო სახსრები გამოყო. მაგრამ არც ხსრ კავშირის ხახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, არც მშენებლობის სამინისტროს არ უზრუნვიათ იმისათვის, რომ დიდმნიშვნელოვანი ობიექტი უზრუნველყოფილი იყოს გენერალური მოიჯარადრით — ძირითადად იმის იმედად ჰქონდათ, რომ თვით ქარხნის კოლექტივი გამოიჩენდა თაოსნობას. მაგრამ საწარმოს საკუთარი ძალებით ასეთი მოცულობის სამუშაოთა შესრულება არ შეუძლია.

ვფიქრობთ, მშენებლები უნდა დავაინტერესოთ რეკონსტრუქციის პრობლემებით. საქმე უწინარეს ყოვლისა იმას ეხება, რომ ტექნიკური განახლების პროექტებში უფრო სრულად იყოს გათვალისწინებული ასეთი ღონისძიების შესრულების სპეციფიკური პირობები. ხარჯთაღრიცხვებში უნდა გავითვალისწინოთ სპეციალური კოეფიციენტები, რათა დავაინტერესოთ მშენებლები ამგვარი სამუშაოების წარმოებით. ეს საკითხები, ჩვენი აზრით, კომპლექსურად უნდა შევისწავლოთ და განვიხილოთ. თანაც ყოველმხრივ გავითვალისწინოთ როგორც საერთო-სახელმწიფო ინტერესები, ისე მშენებელთა, სამრეწველო საწარმოთა ინტერესებიც.

სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო წლებში სამინისტროები და უწყებები უფრო უურადღებით ეკიდებიან ადგილობრივი პარტიული ორგანოების აზრსა და წინადადებებს, ითვალისწინებენ მათ თავიანთ გეგმებსა და ღონისძიებებში. მართლაც, ასეთი ურთიერთმოქმედება რომ არა, ალბათ ვერც კი განვახორციელებდით დიდი მოცულობის სულ სხვადასხვაგვარ სამუშაოებს არსებულ საწარმოებში პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლური გადიდებისათვის. შეიძლება მოვიყვანოთ სამინისტროთა მუშაკების საქმიანი გულისხმიერების ბევრი ნიმუში. მაგალითად, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით შეადგინა თავისი საწარმოს რეკონსტრუქციის დახაბუთებული გეგმა, რომელიც მოიწონეს და მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და ინსტრუმენტული მრეწველობის სამინისტროში. გამოინახა იმის შესაძლებლობა, რომ ეს გეგმა უახლოეს დროში განხორციელდეს. დადებითად გაიარა აგრეთვე ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრაციული მანქანის“ ტექნიკური განახლების საკითხი, რომელიც კოლექტივმა აღძრა და მას მხარი დაუჭირა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა.

და მაინც ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი ისეთი დამოკიდებულება, რაც რეკონსტრუქცია რაღაც მეორხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ ახალ კაპიტალურ მშენებლობასთან შედარებით. მოვიყვან ახეთ ფაქტს. გათვალისწინებულია ბათუმის ხაბეჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავის სახელობის გემთსაშენებელი ქარხნის რეკონსტრუქცია. იგი ხაშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ წყალქვეშაფრთიანი კატარღების გამოშვება, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა. არის საპროექტო დოკუმენტაცია, მაგრამ შესაბამისი სამინისტრო ჯერჯერობით გულგრილად ეკიდება ამას, ხამუშაოები დღემდე არ დაწყებულა.

ეს შემთხვევა, ხაწუხაროდ, ერთადერთი არ არის. ზოგჯერ დიდხანს ჭიანურდება ხაპროექტო-ხახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის გაცემა, მოწყობილობის მიწოდება. სამინისტროთა და უწყებათა მიმდები ომისიები ზოგჯერ ზედმეტად ჩქარობენ და არსებითად დაუთმავრებელ ობიექტებს იღობენ ხოლმე, სადაც არ არის დამხმარე-სამეურნეო დანიშნულების ხამსახურები ოა უბნები. ასეთ ფაქტებს დროულად უნდა მიიცეთ პრინციპული, პარტიული შეფასება.

რესპუბლიკის მშრომელებმა, ჩაებნენ რა ხაკაზრო ხოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, გადაწყვეტეს 1977 წლის ხაწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის გზით მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით უზრუნველყონ სამრეწველო პროდუქციის მატება 240 მილიონი მანეთის მოცულობით, რაც საერთო მატების 55 პროცენტს შეადგენს. მშენებლებთან მჭიდრო თანამეგობრობით კოლექტივები უზრუნველყოფენ რეკონსტრუქციის მაღალ ეფექტს.

გ. კოლბინი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი.

„პრავდა“, 8/VI-77 წ.

ავტოტექმომსახურებას — სანიმუშო ფუძე

მსჯელობს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო

ყოველდღიურად იზრდება ავტომანქანების რიცხვი, ამიტომ მატულობს მოსახლეობის მოთხოვნილება ავტოსერვისებზე. იმის შესახებ, თუ როგორ ემსახურებიან მოსახლეობას „საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოს ობიექტები, სერიოზული ლაპარაკი იყო საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიის სპეციალურ სხდომაზე, რომელმაც განიხილა „საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოს სისტემაში 1976 წელს სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მდგომარეობის შეფასების შედეგები.

ავტომანქანების დეფიციტური სათადარიგო ნაწილების უკმარისობის თაობაზე, მოსახლეობის განუწყვეტელი საჩივრების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისა და თავიდან აცილების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შეფასებისას გამოაშკარავებული იქნა ტექნიკური მომსახურების სადგურებში ავტომანქანა „ჟიგულის“ საჭირო სათადარიგო ნაწილების გადამავის, ამავე დროს უფონდოდ, უკანონოდ გაცემის ფაქტები.

მაგალითად, ორგანიზაციებმა, რომლებსაც არ გაუთვნოდათ, მაინც მიიღეს 16197 ცალი დეფიციტური ნაწილი, მათ შორის სავაჭრო ორგანიზაციებმა — 10.205. ამასთან ერთად ავტოტექმომსახურების სადგურებს დაკალეს 7807 ცალი სათადარიგო ნაწილები.

ბევრი სათადარიგო ნაწილი გაცემულია სამმართველოს ხელმძღვანელთა ცალკეული განკარგულებით, სადაც ნაჩვენები არ არის, თუ რომელი ტექმომსახურების სადგურის ხარჯზე გაიცა.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზის მუშაკები, „საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოს ხელმძღვანელები, თვითნებურად ანაწილებდნენ სათადარიგო ნაწილების ფონდებს თავიანთი სურვილის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში კერძო ბარათებით.

ამგვარად, „საქავტოტექმომსახურების“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზაში დამკვიდრებული ეს არასწორი პრაქტიკა გახდა დანაშაულებრივ მოქმედებათა მიზეზი, ხელს უწყობდა ცალკეულ არაკეთილსინდისიერ მუშაკებს ტექმომსახურების სადგურებში ნაწილებით მომარაგების ხელოვნურად გართულებული ატმოსფეროს შექმნაში, რაც ქმნიდა სპეკულაციისათვის ხელსაყრელ პირობებს და მოსახლეობის ხამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

ამ არანორმალური მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე ბაზის მიერ 1976 წლის დამდეგს ავტოტექმომსახურების სადგურებში სათადარიგო ნაწილების ცენტრალიზებული შეზიდვის წესების დარღვევა, რასაც ყურადღება არ მიაქცია სამმართველოს უფროსმა ე. ბოლქვაძემ. მანვე საჭირო რეაგირება ვერ მოახდინა შემდგომშიც, და ბრძანება კვლავ შეუსრულებელი აღმოჩნდა.

სამმართველოში ფესვი გაიდგა მანვე ტენდენციამ, ზერელე დამოკიდებულებამ სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა საკითხის შესწავლისადმი, პირველ რიგში იმ საკითხებისადმი, რომლებიც ეხება დარღვევებს და მუშაკთა დანაშაულს. დარღვევებს ხელს უწყობდა აგრეთვე ისიც, რომ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზაში არ არსებობდა სათადარიგო ნაწილების მიღება-გაცემის მკაცრი აღრიცხვა მიუხედავად გაფრთხილებისა.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიამ მიმდინარე წლის დამდეგს განიხილა საკითხი „საქავტოტექმომსახურების“ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. აღინიშნა, რომ სამინისტროს 1976 წლის 16 ივლისის ბრძანება „საქავტოტექმომსახურების“ სისტემაში შემავალი ტექნიკური მომსახურების სადგურების მუშაობის შესახებ“ არ შესრულებულა, რომ სამმართველოს ხელმძღვანელებმა ვერ იქნა და ვერ მიაღწია ადმინისტრაციული ამპარატის ყველა რგოლის მუშაობის არსებით გაუჯობესებას, დისციპლინის განმტკიცებას, ჯერ უზრუნველყო ტექნიკური მომსახურების სადგურების მწყობრი და ხარისხიანი საქმიანობა, სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება.

კოლეგია სპეციალური დადგენილებით ე. ბოლქვაძეს ვალდებულს ხდიდა განხორციელებინა ღონისძიებანი სახელმწიფოებრივი დისციპლინის განსამტკიცებლად, სასიელფრო, შეუწყვიტა სათადარიგო ნაწილებისა და მასალების მიღება დამკვეთისაგან, ასევე მათი გაცემა სარეზონტო სამუშაოების შემსრულებლისათვის გასავლის ფაქტურის გარეშე. ყოველივე ეს ტექნიკური მომსახურების სადგურებს თავიდან ააცილებდა აღურიცხავი სათადარიგო ნაწილების შეტანას. მაგრამ „საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოს ამ დადგენილებიდან მიმდინარე წლის აპრილში, მისი განმეორებით შემოწმების დღესაც კი — არც ერთი პუნქტით არ ქმნინა შესრულებული. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს „საქავტოტექმომსახურების“ ხელმძღვანელების უპრინციპო პოზიციას ნიგბრიერ მოვლენებთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისა და ტექმომსახურების სადგურებში წესრიგის დამყარების საქმეში.

შემოწმებით დადგენილია უხეში დარღვევები და დანაშაულობანი ქალაქ თბილისის, მარნეულის და სხვა რაიონების ტექმომსახურების სადგურებში და ავტოსადგომებში.

კოლეგიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოს ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მიერ ავტოტექმომსახურების სისტემის მუშაობაში არსებულ ხერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ტექმომსახურების სადგურებში სპეკულაციის თაობაზე მოსახლეობის დიდი საყვედურების გამო დასახული ღონისძიებების შესასრულებლად.

„საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოს უფროსმა ე. ბოლქვაძემ და მისმა მოადგილემ შ. ცქიტიშვილმა დაიკავეს ლიბერალური პოზიცია და უსუსურნი აღმოჩნდნენ, რათა განეხორციელებინათ მკაცრი ზომები სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად. ე. ბოლქვაძემ არ გამოიტანა სათანადო დასკვნები კოლეგიებზე გამოთქმული კრიტიკიდან, ვერ იჩენდა მომთხოვნელობას და პრინციპულობას, რითაც ფაქტიურად ჩაშალა სამინისტროს 1977 წლის 16 თებერვლის ბრძანების იმ ნაწილის შესრულება, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცებას, მოსახლეობის მომსახურების დონის ამაღლებას, სათადარიგო ნაწილების გაცემისა და განაწილების დროს დარღვევათა და დანაშაულობათა აღმოფხვრას.

კოლეგიამ სავსებით სწორი, პრინციპული შეფასება მისცა „საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოსა და მისი ხელმძღვანელების საქმიანობას. სამმართველოს უფროსი ე. ბოლქვაძე გაათავისუფლა, ხოლო სამმართველოს უფროსის მოადგილე — მთავარი ინჟინერი შ. ცქიტიშვილი მოხსნა სამუშაოდან.

ავტომანქანების დეფიციტური სათადარიგო ნაწილების დიდი რაოდენობით ფონდის ზევით სავაჭრო ორგანიზაციებზე გაცემისათვის და მათი გადამალვისათვის კოლეგიამ მკაცრად დასაჯა, აგრეთვე სხვა მუშაკები და მასალები გადასცა სამართმძიებლო ორგანოებს.

კოლეგიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ყველა არსებული ნაკლისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

19 ივნისი

აღგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე!

ერთ საარჩევნო უბანში

ახალციხე. (საკ. კორ.). განსაკუთრებული ხალხმრავლობაა საქალაქო კულტურის სახლში, სადაც მოთავსებულია ახალციხის № 5 საარჩევნო უბანი და აგიტპუნქტი. იგი ამ დღეებში პოლიტიკური მუშაობის ცენტრი გახდა.

ამასწინათ აქ ამომრჩეველებმა მოისმინეს აგიტპუნქტის გამგის ი. წიქარიშვილის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ს. ხოსიტაშვილის და პედაგოგ შ. ზედგენიძის მოხსენებები თემებზე: „1977 წელი — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის საიუბილეო წელია“, „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე უფრო დემოკრატიულია მსოფლიოში“, „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

ეწყობა გულთბილი შეხვედრები ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებთან. საუბნო საარჩევნო კომისიისა და აგიტპუნქტის სამუშაო გეგმები ბევრ საინტერესო ღონისძიებებს ითვალისწინებს. გაიმართება კონცერტები ამომრჩეველებისათვის, განზრახულია ექსკურსია ბაცხე-ჯავახეთის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმში.

თეორიული კონფერენცია

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა პარტიის შუახევის რაიონულ კომიტეტთან ერთად უჩამბის საოსფელო საბჭოში მოაწყო ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია.

მოხსენებები თემებზე: „სოციალისტური დემოკრატიის სიძლიერე და უპირატესობა“, „ქალთა მდგომარეობა საბჭოთა კავშირში“, „სკკპ საგარეოპოლიტიკური საქმიანობა“, „იდეოლოგიური აქტივის ამოცანები სკკპ XXV კონგრესის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის როლის გაზრდის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „ბეჭედით“ — გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ა. მიქელაძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კაკალაძე, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი ა. აბულიანი და საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ცეცლაძე.

ა. ნათიშვილი.

ხალხის კანდიდატები

სოფლის თვალი

სიკეთისა და სიხარულის მინიჭება ერთმანეთისთვის ყველა პროფესიის ადამიანებს შეუძლიათ, მაგრამ სულ სხვაა ექიმის მიერ ავადმყოფისათვის მიმადლებული სიხარული. იგი სიცოცხლესთან არის დაკავშირებული და სიცოცხლეზე ტკბილი ხომ ამ ქვეყნად არაფერი გაჩენილა.

რუსუდან ჟღენტმა 1966 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 62-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის შ. ჟღენტის ოჯახში გაიზარდა რუსუდანი. ქალიშვილი დედის კვალს გაჰყვა. თავიდანვე შრომას შეჩვეულს არ შეეძლო ოღონ ბზით მიეღწია მიზნისათვის. ინსტიტუტში აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომკავშირულ ცხოვრებაში, მუდამ სჯეროდათ მისი აღმზრდელებსა და ამხანაგებს. იგი დღითიდღე ეუფლებოდა მეცნიერებას, სპეციალობას, ბევრი თეორია ღამეებიც ჰქონია წიგნთან.

1972 წელს რუსუდანი ინსტიტუტმა საგზურით სამუშაოდ ლანჩხუთის რაიონში, სოფელ აცანაში გაგზავნა. აცანა მაღალმთიანი კობაწი სოფელია. აქ ხუთასი ოჯახი სახლობს. წლების მანძილზე ელოდნენ ექიმის გამოჩენას. მაგრამ მოდიოდნენ და ისევ მიდიოდნენ. უჭირდათ ნებიერად გაზრდილთ ალმართის ავლა, ხან ფერდობზე დაშვება, ხან კიდევ მდინარის გალმა გასვლა...

როცა გაიგეს, ახალგაზრდა ექიმი თბილისელიაო, ზოგიერთს გულში გაეღიმა — ალბათ დაზამთრებამდე ვერ გაძლებსო.

მაგრამ სოფელში ახლა ასე აღარ ფიქრობენ. ამ ქალიშვილმა ისე დაიპყრო აცანის მცხოვრებთა გული, რომ სულ მის სახელს — ტომობილო ქარხანაში. იგი მოიწონა საკავშირო დარგობრივმა სამინისტრომ და წარმატებით დაუთმოს რეკონსტრუქციის პრობლემებს. დიდი ღონისძიებებია დასახული რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და ქიმიურ კომბინატში, ქუთაისის საავტომობილო და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში, მანქანათმშენებლობის მთელ რიგ ობიექტებზე. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში ჩაბმულ მშრომელთა მეტი წილი პატრიოტული თაოსნობები მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოთა ტექნიკური ზრდის ამოცანების გადაწყვეტასთან.

ხვალინდელი დღის იმედით

საჩხერე. (საკ. კორ.). — ჩვენს დღეებში სასიხარულო ამბებს რა დალევს, — ასე დაიწყო თავისი საუბარი საჩხერის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად მოწვეული აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა შ. ჭიჭინაიამ, — კიდევ ერთი უდიდესი ისტორიული მოვლენის მოწმენი გავხდით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ ცხოვრების განვლილი გზის ობიექტური ანალიზი და ჩვენს მომავლის მარქსისტულ-ლენინური ალქმაა. ახალი კონსტიტუცია — ქვეყნის ძირითადი კანონი მომავალი შენების დიად პროგრამას გვისახავს.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის სამზადისში ჩაბმულია სოფლის 31 აგიტატორი. დაზუსტებულია ამომრჩეველთა სიები, ეწყობა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან.

გვიან საღამომდე გაჩირაღდნებულია სასოფლო კლუბი და ბიბლიოთეკა. აგიტპუნქტში მორიგეობენ აგიტატორები მ. მესხი, ლ. ლაცაბიძე, მ. ვეშაპიძე, რ. ჭელიძე და სხვები. გამოვიდა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, ჩატარდა საუბრები ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს შრომითი აქტივობის ვითარებაში. საირხელებმა აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრეს თესვა. ამ დღეებში ნათესების პირველ დამუშავებასაც შეუდგებიან. დაფიქრდა მარჯვენით გასაკუთრებით ამაყობენ აქაური მეზრეები. ვენახებში სრული დოზით შეიტანეს მინერალური სასუქები.

კოლმეურნეები იმედის თვალით შეპყურებენ ხვალინდელ დღეს და უხარიათ, რომ ამ ბედნიერების შემოქმედნი თვითონაც არიან.

დეპუტატად მეოთხედ

სოფლიდან რაიონის სოფელ ულიანოვკაში ვერ ნახავთ კაცს, რომელმაც უკეთ იცოდეს ამ სოფლის წარსული, აწმყო და უფრო ნათლად ქონდეს წარმოდგენილი ულიანოვკელთა მომავალი, ვიდრე ასსოფლო საბჭოს აღმასკომის უცვლელ თავმჯდომარეს ექვთიმე ვასილის ძე მარკუშინს.

სოფელში ორიათასზე მეტი მცხოვრებია და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ყველასათვის პოულობს კეთილ სიტყვას, მზად არის ყველას დაეხმაროს რჩევით და საქმ

ცხოვრების დიდი ქარტია

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი იუწყება, რომ ჩვენი სამშობლო, კლასებად გაყოფილი საბჭოთა კავშირი არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს გამოხატავს.

ხალხთა ამ დიადი და ისტორიაში მანამდე არნახული კავშირის მთელი სიდიადის, სიმტკიცისა და ერთიანობის, სიბრძნისა და სიკეთის შესანიშნავი და მართალი გამოხატულებაა, უზუსტესი სარკეა პროექტი კონსტიტუციისა, რომელიც პარტიამ გამოიტანა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ეს არის განუზომელი მნიშვნელობის დოკუმენტი — მის სტრიქონებში ლაპარაკობს ხალხთა ისტორია და აწმყო, მის სტრიქონებში ჩანს, თუ რა დიადი და მშვენიერი ნაყოფი მოიტანა მილიონების თავდადებულმა ბრძოლამ და შრომამ ათეული და ასეული წლების მანძილზე.

ზობელი ამომავალი მზეა, მეგობარი ნახე რა იქნებაო!

წელანაც ვთქვი, ეს იყო ოცნება, ეს იყო ნატვრა, სურვილი ადამიანებისა და ხალხებისა და მას აღებეჭდავდნენ საუკუნეთა მანძილზე ლექსებშიც, თქმულებებშიც, ტრაქტატებში. ისტორიას ახსოვს დიდი მეოცნებენი კაცობრიობის ნათელ მომავალზე, ჟან-ჟაკ რუსოს მსგავსად, მომავლის კონსტიტუციებს რომ წერდნენ, ქარტიებს რომ ადგენდნენ ხალხთა ძმობასა და სიყვარულზე, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ოცნება იყო, მიუწვდომელი და განუხორციელებელი.

გადიოდა საუკუნეები. იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ, სისხლისაგან იცლებოდნენ ხალხები, ვიდრე დადგებოდა დღე, როცა დაიწერებოდა და დაიდებოდა ყველაზე დიადი და ხსტორიული ფიცი, ხალხთა ძმობას ისტორიის კანონად რომ აქცევდა.

და ეს იყო დღე, როცა შეიქმნა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახი. ეს ფიცი დაიდო ამ ექვ-

პუბლიცისტის გულისთქმა

მეგობრობა, ძმობა, სიყვარული!

როცა ახალი კონსტიტუციის პროექტს კითხულობ

ხალხთა რაოდენ ნატვრას, რამდენ ოცნებას, რამდენ დაუცხრომელ მისწრაფებას ფრთა შეასხა, სინამდვილედ აქცია საბჭოთა კონსტიტუციამ! ერთი მთავარი ამ მისწრაფებათა და საუკუნოვან ოცნებათა შორის ხალხების ძმობა იყო. კონსტიტუციის პროექტს რომ კითხულობ, უნებურად გებადება კაცს დაუძლეველი სურვილი გადახედო ისტორიას: ძმადგაფიცვას, დაძმობილებას, დამეგობრებას დასაბამიდან, კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟიდან მთელი მომდევნო საუკუნეების მანძილზე, ათასნაირი ფორმა და გამოვლენა ჰქონდა. რა სახით არ გამოხატავდნენ მას: ბრძოლის ველზე იცოდნენ ხანჯლით ვერცხლის ჩათლა თასში, რომ მერე ერთად შეესვათ იმ ერთი თასიდან, იცოდნენ ისრების გაცვლა, და უფრო გვიან გაცვლა ტყვეებისა; იცოდნენ ძმად მიღება, და მერე შეფიცულს ღვიძლ ძმაში აღარ გამოარჩევდნენ, ივიწყებდნენ რომ ერთი დედა არ ჰყავდათ და ზეცაც და მიწაც სხვადასხვა ჰქონდათ.

მეგობრობა, ძმობა, სიყვარული — ეს იყო ოცნება ადამიანებისა, ხალხებისა, მთელი კაცობრიობისა. ორი ათას სამასი წლის წინ თქვა ანტიკური ეპოქის პოეტმა — ბედნიერია ის, ვისაც ნამდვილი მეგობრის ჩრდილი მაინც უნახავსო. ხოლო უძველეს ქართულ ხალხურ თქმულებაში ნათქვამია — მეხი ათეული წლის წინ, ლენინმა და ლენინის პარტიამ დაადგინეს ხალხები ძმობაზე და ეს ძმადგაფიცვა ისეთი უძლეველი გამოდგა, რომ მან გაუძლო ყველაზე დიდსა და საშინელ ქარტეხილებს, ყველაზე ძლიერი მტრების შემოსევებს.

დიახ, ჩვენმა სამშობლომ ისტორიაში უმაგალითო განსაცდელებს გაუძლო. როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, „ჩვენ შეგქმენით ახალი საზოგადოება, რომლის მსგავსიც კაცობრიობას არ ახსოვს, — ეს არის უპრეზიდიუმო, მუდამ მზარდი ეკონომიკის, მომგზეფველი სოციალისტური ურთიერთობის, ნამდვილი თავისუფლების საზოგადოება. ეს არის საზოგადოება, სადაც გაბატონებულია მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა. ეს არის მომავლის მტკიცე რწმენის, ნამდვილ კომუნისტური პერსპექტივების საზოგადოება. მის წინაშე გადაულილია შემდგომი ყოველმხრივი პროგრესის უსაზღვრო სივრცეები“.

ღრმაშინაარსიანი და წარმტაცია ცხოვრება ხალხთა ამ დიდი ოჯახისა. აქ ერთი ძმის სიმდიდრე მეორის სიმდიდრეც არის, ერთის სილამაზე — მეორესაც შუქს აყენებს, ერთის სიბრძნე — მეორესაც მაღლა სწევს, ერთის ლექსი — მეორესაც გულს უთრთოლებს, ერთის დედაენას — მეორეც პატივსა სცემს... საბჭოთა ქვეყანა მტკიცე და ურღვევია იმიტომ, რომ მას საფუძვლად ხალხების ერთიმეორისადმი სიყვარული და პატივისცემა უძევს. ამაზე ნათლად მეტყველებს პროექტი ახალი საბჭოთა კონსტიტუციისა.

კონსტიტუციის პროექტში, ორ ადგილას — ოცდამეთექვსმეტე და ორმოცდამეხუთე მუხლებში არის ხაზგასმული დედაენის მნიშვნელობა ყოველი ერის ცხოვრებაში; და ეს იმიტომ, რომ ენა ყველაზე უძვირფასესი საუნჯეა ყოველი ხალხისათვის. ეს არის მისი არსებობის, მისი სიცოცხლის დასტური, მთავარი ნიშანი. მოდი ერთი წუთით ისევ მსოფლიო ისტორიას გადავხედოთ: ვერ დაასახელებთ ვერც ერთ ხალხს, ვინც თვით შორეულ წარსულში თავის დედაენას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ იცავდა. ხოლო ვინც ასე არ იქცეოდა, აღიგავა კიდევაც, მოკვდა, აღარ არსებობს.

საბჭოთა მოქალაქე უნდა აღიზარდოს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით — გვაუწყებს კონსტიტუციის პროექტი. მთელი ეს დოკუმენტი პირველიდან ბოლო სტრიქონამდე გამსჭვალულია ხალხთა ძმობის, ერების სრული თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებით; იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოქალაქეთა უფლებების ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობების დაწესება, ისევე როგორც რასობრივი ან ეროვნული განსაკუთრებულობის, შეულღისა ან უგულებელყოფის ყოველგვარი ქადაგება — კანონით ისჯება. ეს კანონი გამომდინარეობს ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკიდან, რომელიც მიზნად ისახავს ხალხთა ეკონომიკური, იდეურ-პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ერთობის განმტკიცებას.

კონსტიტუციის პროექტი შეიცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უაღრესად ფართო სპექტრს. ახალი კონსტიტუციის პროექტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე, აღტაცებით შეხვდა მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი მოწინავე კაცობრიობა. ჩვენს ხალხს პროექტი მიაჩნია იმის ნათელ დადასტურებად, თუ რაოდენ ზრუნავს ლენინური პარტია საბჭოთა სამშობლოს აყვავებისათვის, მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ მოქალაქეებს შეუქმნას შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის განვითარებისა და გამოყენების, პიროვნების ჰარმონიული განვითარების ყოველმხრივ ხელის შეწყობის პირობები.

ჩვენი სოციალისტური სამშობლო მხოლოდ სამოცი წლისაა, მაგრამ ამ წლების მანძილზე ჩვენ საუკუნეების ტოლი გზა გავიარეთო, — აღნიშნავდა „პრავდა“ ამ დღეებში.

სამოც წელში ჩაეტიენ საუკუნეები, ჩაეტიენ ეპოქალური გამარჯვებანი, მოხდა უღრმესი ცვლილებები, ჩვენ მივაღწიეთ სოციალური და კულტურული პროგრესის უმაღლეს საფეხურს, — აი რაზე მეტყველებს კონსტიტუციის ახალი პროექტი.

გიორგი ნატროშვილი.

ეცნოგიან, სწავლოგენ

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ მთავარი კონსტრუქტორი ბ. ბერეზინი, რომელიც საწარმოს მუშებს მოუწოდებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში. მიტინგებზე, რომლებიც მიეძღვნა ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტის განხილვის დაწყებას, მუშებმა და მოსამსახურეებმა გამოხატეს ჩვენი დროის ამ თვალსაჩინო დოკუმენტით გამოწვეული თავიანთი აზრები და გრძნობები. მათ მხურვალედ მოიწონეს და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კონსტიტუციის პროექტს.

გაერთიანების პარტიულმა ორგანიზაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებისა და პროექტის ტექსტის შესწავლას მიუძღვნა სპეციალური დღე.

„საწარმოო გაერთიანების სხდომათა დარბაზი. აქ მუშაობის შემდეგ შეიკრიბნენ განყოფილებებისა და სამსახურების ხელმძღვანელები, გაერთიანების წამყვანი სპეციალისტები, მათ შორის არიან პროპაგანდისტები, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, მათ დიდი ინტერესით მოისმინეს პროფესორ ა. ფალიაშვილის ლექცია ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის შესახებ.

ამასთან ერთად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალების შესახებ გაერთიანების საამქროებში ლექციები წაიკითხეს პროფესორმა ს. შარიქაძემ, დოცენტებმა ვ. ალიევმა, მ. კიკილიამ და სხვებმა.

აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების დიდი არმია შეუდგა მუშებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალების განმარტებას. შედეგების უბნის მუშებს საინტერესოდ და შინაარსიანად ესაუბრა პოლიტინფორმატორი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილე მ. ჯღამაძე. ჩრდილოეთელი ცვლილებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების დღიდან განვლილი 40 წლის მანძილზეს, პოლიტინფორმატორმა გააშუქა თავისი საწარმოს ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული ფაქტებითა და მაგალითებით. (საქინფორმი).

ეცნოგიან კონსტიტუციის პროექტს

ხურათზე: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვი საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. შიოშვილი (ცენტრში) ესაუბრება ახალგაზრდა მქსოველებს ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

ხ. კილაძისა და ვ. მაჩაბელის ფოტო.

ურეჯელი მეჩაიეები:

ჩვენი პასუხია 850 ტონა ჩაი!

ხელვაჩაური, 8 ივნისი. (საქინფორმის კორ.). სოფელ ურეხის ადრეული სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა აჭარაში პირველებმა, ადამდე და დიდი გადაჭრებებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის დავალება. 7 ივნისისათვის მათ ურეხის ჩაის ფაბრიკას ჩაბარეს 386 ტონა მწვანე ფოთოლი, ორი თვის გეგმით გათვალისწინებული 349 ტონის ნაცვლად.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მეხუთე ბრიგადამ, რომელსაც ეხელმძღვანელობს ს. თორთანიძე. ეხელმძღვანელობს. ამ კოლექტივმა მაის-ივნისის დავალების გადაჭარბებით მოკრეფა და გადასამუშავებლად ჩაბარა თერმეტი ტონა ძვირფასი ნედლეული. მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს აძლევენ მეჩაიეები ე. ბარანინაძე, მ. ჯადალაძე, მ. დიასამიძე, ხ. ვარშანიძე და სხვები, რომლებიც ყოველდღიურად ორ-ორ ნორმას ასრულებენ.

შრომითი აღმავლობაა კოლმეურნეობაში ამ დღეებში. მეჩაიეები დიდი ინტერესით ეკონომიან საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონის პროექტს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის განმარტებანი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ბარამიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი შ. ვარშანიძე, აგიტატორი ბრიგადირები ა. ვარშანიძე, ე. აბულაძე, მერკოლური ხ. ვარშანიძე შესანიშნებზე უშუალოდ პლანტაციებში აწყობენ საუბრებს კოლმეურნეებთან.

ყურადღებით მოუსმინეს კოლმეურნეებმა მთელ რესპუბლიკაში განთქმული ჩაის მკრეფავის, სოციალისტური შრომის გმირის ხანჯერ გორგილაძის საუბარს.

— ორმოცი წლის წინათ, — თქვა მან, — მე თვითონ ვმოწილეობდი პლანტაციების გაშენებაში, რომლის მოსავალსაც ახლა ვიწევთ. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების დღიდან ხალხურად შეიცვალა კოლმეურნეობის ცხოვრება. სულ სხვა გახდა ჩვენი კოლმეურნეობაც. ახლა ბევრ მეტ ჩაიხა და ციტრუსს ვაწარმოებთ, ვიდრე ოცდაათიან წლებში. ხალხი უფრო კულტურულად, შეძლებულად ცხოვრობს.

ურეხელი მეჩაიეები მხურვალედ იწონებენ ახალი კონსტიტუციის პროექტს. საბჭოთა ადამიანზე ზრუნვის პასუხად, რომლითაც განმსჭვალულია ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი, მათ გადაწყვიტეს აიღონ ჩაის რეკორდული მოსავალი—850 ტონა, ე. ი. 65 ტონით მეტი, ვიდრე საუბილეო წლის გეგმითაა გათვალისწინებული.

ლუის კორვალანის დაჯილდოება

ჰავანა, 7 ივნისი. (საქდესი). კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარემ ბლას როკამ აქ ეროვნული ორდენი „პლაია-ხირონი“ გადასცა ჩილეს კომპარტიის გენერალურ მდივანს ლუის კორვალანს. კუბის ეს უმაღლესი ჯილდო ლ. კორვალანს ამ ქვეყნის მთავრობამ მიანიჭა მისი 60 წლისთავთან დაკავშირებით. ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ფიდელ კასტრო, კუბის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში ბლას როკამ აღნიშნა, რომ ლუის კორვალანი არის ჩილეს ფაშისტური ხუნტის, ლათინური ამერიკის მთელი რიგი სხვა ქვეყნების საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფი ყველა რევოლუციონერისათვის მამაცობის სიმბოლო. ხუნტის დილეგებიდან კორვალანის განთავისუფლებაში, ხაზგასმით აღნიშნა მან, უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში გაშლილმა სოლიდარობის ფართო მოძრაობამ.

საპასუხო სიტყვაში ლ. კორვალანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩილელ პატრიოტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა თავის სამშობლოში თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ ისინი საბოლოოდ გაიმარჯვებენ ფაშიზმზე.

მწერალი და მშვიდობა

სოფია, 7 ივნისი. (საქდესი). დღეს ბულგარეთის დედაქალაქში დაიწყო მწერალთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეწყობა დევიზით — „მწერალი და მშვიდობა: ჰელსინკის სულისკვეთება და კულტურის ოსტატთა მოვალეობა“. კონფერენციაში მონაწილეობს ჰელსინკის საბოლოო აქტის ხელმომწერი ქვეყნების 150-ზე მეტი მწერალი, აღრეთვე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მწერლები.

ფორუმი გახსნა ცნობილმა ფრანგმა პოეტმა და პროზაიკოსმა ჟ. ბაზენმა.

შემდეგ წაიკითხეს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მისალმება კონფერენციის მონაწილეებისადმი.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. მ. მარკოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელი წერილი, რომელსაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ცნობილი ბულგარელი ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი, ბულგარეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პ. ზარევი მიესალმა ხუთი კონტინენტის მწერლებს და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა უსურვა მათ. იმისათვის, რომ დამკვიდრდეს დაძაბულობის შენელების პროცესი და ჰელსინკის სულისკვეთებამ გაიმარჯვოს, თქვა მან შემდეგ, მშვიდობას აქტიურად უნდა დაუჭიროთ მხარი კულტურის მოღვაწეებმა. მწერალთა ფხიზელი და პატიოსანი ხმა — ურთიერთგაგებისა და სოლიდარობის ხმა უნდა გაიგონოს მთელმა მსოფლიომ დიადი და ჰუმანური მიზნებისათვის, მშვიდობისათვის.

„საბჭოთა წიგნი“ ჩეხოსლოვაკიაში

ნლითიდლოგით იზრდება საბჭოთა ლიტერატურის პოპულარობა ჩეხოსლოვაკიაში. უკანასკნელ სამ ათწლეულში აქ გამოიცა რუსული ლიტერატურის კლასიკოსებისა და თანამედროვე საბჭოთა მწერლების ექვსი ათასზე მეტი დასახელების წიგნი. მათმა საერთო ტირაჟმა 80 მილიონ ცალს გადააჭარბა.

* * *

ხურათზე: „საბჭოთა წიგნი“ — ამე ეწოდება ამ მაღაზიას, რომელიც პრაღაშია გახსნილი.

ჩტკ-საქდესის ფოტო.

ჰეკინის ვარაუდები და შეცდომები

ჰეკინის პროპაგანდამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩინეთში ომის ფსიქოზის გაღვივების გზაზე. გაზეთმა „ძეფანძიუნ ბაო“ მოუწოდა ჩინელებს „მზად იყვნენ იმისათვის, რომ მალე დაიწყება დიდი მასშტაბის ომი“.

ომი ვისთა და ვის შორის? გაზეთი ამ კითხვაზე სავსებით გარკვევით უპასუხებს: საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის. და აქვე დასძენს: „ნუთუ ჩვენ ნებას მივცემთ ჩვენ თავს, რომ არ მოვემზადოთ საომრად? განა ჩვენ წინასწარ არ უნდა მოვემზადოთ საომრად?“

ისმება კითხვა, თუ, როგორც ამას სტატიის ავტორები ამტკიცებენ, ნამდვილად მომწიფდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონფლიქტი, რა შუაშია აქ ჩინეთი? რატომ და ვის მხარეზე აპირებს იგი ომს? ასეთ კითხვებზე „ძეფანძიუნ ბაო“ არ იძლევა პასუხს.

ამასთან დაკავშირებით უცხოთის პრესის ყურადღება მიიპყრო შემდეგმა ფაქტმა. ამას წინათ ჩინეთის სასალხო რესპუბლიკაში მოგზაურობდან დაბრუნებულმა იაპონიის ეროვნული თავდაცვის სამმართველოს თანამშრომელმა ჰისაო ივასიმამ ეურნალისტებს უამბო, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები დაინტერესებულნი მოითხოვენ მისი ქვეყნის ზელაპალი შეიარაღების გაძლიერებას იმ აზრარა ვარაუდით, რომ საკუთარ ეტლს შეუბან იგი.

„ჩინეთი, — მოიყვანს თანამოსაუბრეთა სიტყვები ჰისაო ივასიმამ, — სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს უწოდებს პირველი სამყაროს სახელმწიფოებს, იაპონიას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ინგლისს, საფრანგეთს, კანადას, ავსტრალიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებს — მეორე სამყაროს, ხოლო განვითარებად სახელმწიფოებს, რომელთა ლიდერად მას თავისი თავი მიაჩნია, — მესამე სამყაროს. ჩინეთის მიზანი ის არის, რომ მიიმხროს მეორე სამყარო და ერთად გამოვიდეს პირველის წინააღმდეგ“.

იაპონიის სამხედრო მოღვაწის ნაამბობი სავსებით ეთანხმება ჩინეთის ხელმძღვანელთა ფართოდ ცნობილ გამონათქვამებს, ისევე როგორც პეკინის დიპლომატიის დაბეჯითებით ცდებს აამხედროს ერთმანეთის წინააღმდეგ პლანეტის ორი უდიდესი სახელმწიფო, რათა მათ, ხოლო მათთან ერთად ეგრეთწოდებულმა „მეორე სამყარომ“, მთელი ძალები ამოწურონ ურთიერთთერმოიბოტომურ კონფლიქტში, და ამრიგად საშუალება მისცეს ჩინეთის მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდეს და თავისი ნებასურვილი უკარნახოს სხვა ქვეყნებს.

ჯერ კიდევ 1959 წლის სექტემბერში, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე გამოსვლისას მაო ძე-დუნი ამბობდა, რომ მის თანამზრახველთა მისწრაფების ობიექტი უნდა გახდეს მთელი მსოფლიო, სადაც მათ უნდა შექმნან „მძლავრი სახელმწიფო“. მაო მოუწოდებდა ჩინელებს, „ნუ ნაღვლობთ თუ ომის დროს დაიღუპება ნახევარი კაცობრიობა — ამას არა აქვს მნიშვნელობა. არც ის არის საშინი, თუ დარჩა მხოლოდ მესამედი მოსახლეობა“. ანალოგიურ აზრს გამოთქვამენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახლანდელი ლიდერებიც.

„ძეფანძიუნ ბაო“ აგრძელებს ომიანობაზე, როცა მოიხსოვს „დაქანცულ“ ჩინეთის არმიის „მოდერნიზაციაზე“. „ომი, — აცხადებს გაზეთი, — ის არის ძლიერებაში შეჯიბრება. თუ ჩვენ წინასწარ დავიწყებთ მზადებას მთელი მონდომებით, გამარჯვება გარანტირებული გვექნება... დრო არ ითმენს“.

როცა აღვიქვამენ ომის ისტერიას, ამყარებენ იმედს იმპერიალისტური და სხვა ანტისოციალისტური ძალების „საეთო კავშირის“ შექმნაზე იმ გარაუდით, რომ ეს საშუალებას მისცემს პეკინს სხვისი ხელით გლიჯოს ნარი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახლანდელი ხელმძღვანელები ისახავენ კიდევ ერთ მიზანს. მათ სურთ ჩინელი ხალხის ყურადღება ჩამოაშორონ სიძნელეებს, რომლებსაც იგი განიცდის, აიძულონ იგი კიდევ უფრო მაგრად შემოიტიროს სარტყელი და უსიტყვოდ შეასრულოს ზემოდან მოლებული მითითებანი.

მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ასეთი ავანტიურისტული კურსი უცილობლად ჩაიფშვნება.

ა. კრასიკოვი.

საქდესის პოლიტიკური მიმოხილველი.

ჩეხოსლოვაკიის პროტესტი

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა ავსტრიის მთავრობას

□

პრაღა, 7 ივნისი. (საქდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ავსტრიას გაუგზავნა ნოტა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ 27-30 მაისს ვენაში გაიმართა სუდეტელ გერმანელთა თავყრილობა.

როგორც ნოტაშია აღნიშნული, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა მოელოდა, რომ ავსტრიის მთავრობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის ხელმოწერის დროს ნაკისრი ვალდებულებებს შესაბამისად არ დაუშვებს აშკარა რევანშისტულ და ნეოფაშისტურ პროვოკაციებს — ეგრეთწოდებული სუდეტელ გერმანელთა სათვისტომოს შეკრების მოწყობას. ნოტაში ნათქვამია, რომ ამ სათვისტომოს წევრთა უმეტესობა — გენლეინის პარტიის (გენლეინი ომამდელ პერიოდში იყო ჰიტლერული პარტიის მეთაური ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქში-რედ. შენ.) ყოფილი წევრებია. ეს პირები მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის მომზადებასა და თვით ოკუპაციაში. მათ სინდისზეა ათასობით მსხვერპლი.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ თვით სუდეტელ გერმანელთა ეგრეთ წოდებული შეკრების მსვლელობამ დაადასტურა, თუ რაოდენ გამართლდა ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების შიში. ისევე როგორც 1959 წელს გამართულ ამგვარ თავყრილობაზე ახლაც ნეიტრალური ავსტრიის ტერიტორიიდან გაისმოდა ხმები, რომლებიც სავსებით ეწინააღმდეგება ევროპაში დაძაბულობის შენელებასა და მშვიდობის განმტკიცებას.

ნოტაში გამოთქმულია პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ავსტრია დათანხმდა ამ ანტიჩეხოსლოვაკიური პროვოკაციის მოწყობას და გამოთქმულია რწმენა, რომ ავსტრიის მთავრობა მომავლში თავის ტერიტორიაზე არ დაუშვებს ამგვარი ანტიჩეხოსლოვაკიური აქციების მოწყობას.

ოკუპანტთა თვითნებობის წინააღმდეგ

ამანი, 7 ივნისი (საქდესი). ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებამ სასტიკი ღონისძიებებით უპასუხეს მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის მშვიდობიან მოქალაქეთა მანიფესტაციებს, რომლებიც გაიმართა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის 1967 წლის აგრესიის მე-10 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. საყოველთაო საპროტესტო გაფიცვები გაიმართა რამალაში, ჯენინში, ტულკარმსა და სხვა ქალაქებში. ისრაელის უშიშროების ძალებმა და პოლიციამ დაატყვევეს დემონსტრაციების ათობით მონაწილე, ყველა ქალაქში მიმდინარეობს მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება.

—გაზეთმა „ად-დუსტურმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ქებრონის, ნაბლუსის, რამალაის, ჯენინისა და მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის სხვა ქალაქების მერებთან, რომელშიც ისინი ერთსულოვნად ამბობენ ისრაელის ადმინისტრაციის თვითნებობას და მოითხოვენ ისრაელის ჯარების გაყვანას არაბული ტერიტორიებიდან. ძნელია იმის წარმოდგენა, განაცხადა, კერძოდ, ქალაქ ერიხაის მერმა ამდელ აზიზ სუვეიტმა, რომ ჩვენ ათი წლის განმავლობაში ვიტანთ ჩაგრას ოკუპანტებისაგან. ოკუპირებული რაიონების მოსახლეობა, ხაზი გაუსვა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ შეიხმა ჰალმი ალმუკთასიბმა, იმედს არ კარგავს, რომ ლიკვიდირებული იქნება 1967 წლის იმის შედეგები, რომ არაბები შეაკავშირებენ თავიანთ რიგებს მიტაცებული მიწების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

თურქეთი

გაიმარჯვა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ

ანკარა, 7 ივნისი. (საქდესი). თურქეთის პარლამენტის ვადამდე არჩევნებმა წარმატება მოუტანა სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც დღემდე ოპოზიციაში იყო. სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მიიღო 218 დეპუტატის მანდატი 450-დან, ხოლო მისმა მთავარმა მეტოქემ — სამართლიანობის პარტიამ, ახლანდელი ოთხპარტიული მთავრობის კოალიციის ლიდერმა,— 188 ადგილი.

თუმცა გამარჯვებული პარტიის გენერალურმა თავმჯდომარემ ბიულენთ ეჯევითმა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე იმედი გამოთქვა, რომ სახალხო-რესპუბლიკური პარტია შეძლებს ერთპიროვნულად, კოალიციის გარეშე, შეადგინოს ქვეყნის ახალი მთავრობა, ეს ამოცანა, პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, საკმაოდ რთულია. გამარჯვების მიუხედავად, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ ვერ შეძლო აბსოლუტური უმრავლესობის — 226 ადგილის მიღება. და მას, როგორც ჩანს, მოუხდება ბლოკის შექმნა დამოუკიდებელ დეპუტატებთან, აგრეთვე წვრილ პარტიებთან.

ამავე დროს, როგორც ხაზგასმით აღნიშნა ბ. ეჯევითმა, კოალიცია არ აძლევს ხელს მის პარტიას, რადგან, მისი სიტყვით, „თურქეთის პრობლემები ამდენად გაძნელდა, რომ მათი გადაჭრა კოალიციური კაბინეტის საშუალებით შეუძლებელია“.

ბ. ეჯევითი 1974 წელს უკვე ხელმძღვანელობდა ქვეყნის მთავრობას, რომელშიც სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას ბლოკი ჰქონდა ეროვნული ხსნის პარტიასთან. ამ კაბინეტმა რამდენიმე თვეს იარსება და შემდეგ დაიშალა კოალიციაში პარტნიორთა უთანხმოების გამო.

სახალხო-რესპუბლიკური პარტია უძველესი პარტიაა ქვეყანაში. იგი შეიქმნა 1923 წელს. მისი დამაარსებელი და თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი იყო ქემალ ათათურქი. გამოხატავს რა ეროვნული ბურჟუაზიის, წვრილ მესაკუთრეთა, მოხელეებისა და ინტელიგენციის ინტერესებს, სახალხო-რესპუბლიკური პარტია წარმოადგენს დასავლეთის ტიპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

აქ ყურადღებას უმიმბენ ბ. ეჯევითის განცხადებას იმის შესახებ, რომ ახალი მთავრობის შედგენის შემდეგ განხორციელდება საჭირო ღონისძიებანი თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 141 და 142 მუხლების გაუქმების მიზნით, რომლებიც სასამართლო დევნას, თვით დაპატიმრებასაც კი ითვალისწინებენ „კომუნისტური საქმიანობისა და კომუნისტური პროპაგანდისათვის“. ამ მუხლების საფუძველზე თურქეთში სხვადასხვა წლებში საპატიმროში იყო თავისი მემარცხენეული ხელმძღვანელებით ცნობილი რამდენიმე ათასი მოქალაქე.



მხატვრული ტანვარჯიში

სილამაზისა და სიმხნევის ჰიმნი

ეს იყო მართლაც ლამაზი სანახაობა,. მხატვრული ტანვარჯიშის მრავალფეროვან და წარმტაც მოძრაობათა თავისებური ჰიმნი. ვფიქრობ, რომ ვინც თბილისის სპორტის სასახლეში ეს-წრებოდა სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრებთა ტრადიციულ მატჩს, დიდი ემოციური კმაყოფილება განიცადა.

საბჭოთა მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებისათვის მთავარ მეტოქეებად ყოველთვის ბულგარელი სპორტსმენები იყვნენ. გავიხსენოთ თუნდაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მარია გიგოკა, უძლიერესი ოსტატები კრასიმირა ფილიპოვა, ვალენტინა განევა.

ადრე ჩვენ ბევრი ვისწავლეთ ბულგარელი ტანმოვარჯიშეებისაგან და საბჭოთა სპორტსმენების თვალსაჩინო პროგრესისათვის დიდად მადლობელი ვართ ჩვენი სპორტული მეგობრების და მეტოქეებისა. თავის მხრივ ბულგარელებიც დაკვირვებით სწავლობენ საბჭოთა ოსტატებისაგან, იღებენ ყოველივე საუკეთესოს.

თუმცა თბილისში ამ ტრადიციულ, რიგით მე-18 მატჩში (პირველად იგი 1960 წელს გაიმართა) არ ახპარეზობდნენ აღიარებული ოსტატები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გალიმა შუგუროვა, საბჭოთა კავშირის საბჭოს აბსოლუტური ჩემპიონი ირინე დერიუგინა (იგი თბილისში საჩვენებელი ვარჯიშით გამოდიოდა) და ბულგარელთა ჩემპიონი კრასიმირა ფილიპოვა, ბრძოლა საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

სტუმართა გუნდში მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ნადია ლასენა და ილიანა რაიევა. რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, სასიამოვნოა, რომ მასში ბევრი ნიჭიერი ტანმოვარჯიშე გამოდის. თუ ადრე „მოდას კარნახობდნენ“ მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, მინსკი, ახლა თამამად შეიძლება ვილაპარაკოთ ტანვარჯიშის ახალ სპორტულ ცენტრებზე თბილისში, დუშანბეში.

ტაჯიკ სპორტსმენებს შესანიშნავი სამეული ჰყავთ — ერიკა შილერი, ელენე ბარინოვა და გიულზერა აპკადიროვა. საქართველოს სპორტსმენთაგან პირველ რიგში აღვნიშნავ 16 წლის ირინე გაბაშვილს, რომელიც მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ ლალი დოლიძე, ირინე უემჩუკინა, მარინე მორბედაძე, რომლებთანაც გულმოდგინედ მეცადინეობენ გამოცდილი მწვრთნელები ნ. სალუქვაძე, ნ. სალაძე და სხვ.

წელს ჩვენს უძლიერეს ოსტატებს კიდევ რამდენიმე საპასუხისმგებლო შეჯიბრება ელით — სსრ კავშირის თასი, მსოფლიოს მერვე ჩემპიონატი (შვეიცარიის ქალაქი ბაზელი, ოქტომბერი). ვფიქრობ, რომ საუკეთესო საბჭოთა ტანმოვარჯიშეები მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მათ და დაიბრუნებენ უძლიერესის გვირგვინს, რომელსაც ბოლო ჩემპიონატზე დასავლეთ გერმანელი სპორტსმენი კარმენ რიშერი ფლობდა.

ალბინა დერიუგინა,
სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი, უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის არბიტრი.

სურათებზე: ზემოთ — მატჩის პრიზიორები ოლღა რაბინოვიჩი (მარცხნივ) და ირინე გაბაშვილი (მარჯვნივ) გამარჯვებას ულოცავენ ერიკა შილერს; ალბინა დერიუგინა (მარცხნივ) ყოველთვის ყველაზე მეტად განიცდის ირინე დერიუგინას (მარჯვნივ) წარმატებანი თუ წარუმატებლობანი. არც არის გასაკვირველი — იგი ხომ ჩვენი ქვეყნის სამგზის აბსოლუტური ჩემპიონის დედა და მწვრთნელიც.

ხ. ჰიულაძის („კომუნისტი“), ა. საპკოვისა და შ. პრიმაკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფეხბურთი

იწყება მეცხრე ტური

დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე იწყება უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მეცხრე ტური.

მოსკოვის „დინამო“ მასპინძლობს „ზენიტს“, „არარატი“ — „ზარიას“, „კაირატი“ — „კარპატის“, „შახტიორი“ — „ნეფტჩის“, „დნეპრი“ — „ლოკომოტივს“, „კრილია სოვეტოვი“ — ცსკა-ს.

თბილისის „დინამო“ თავის მოედანზე შეხვდება **ოდესის „ჩერნომორეცს“**. თამაშს სჯის მ. ჩერდანცევი (ალმა-ათა). ეს იქნება ამ გუნდების მე-19 მატჩი: 8 მოიგო „დინამომ“, 4 — „ჩერნომორეცმა“, 6 — ფრედ დამთავრდა, ბურთების სხვაობაა 24-15 დინამოელთა სასარგებლოდ.

მეცხრე ტურის ბოლო მატჩი **მოსკოვის „ტორპედოსა“** და **კიევის „დინამოს“** შორის გაიმართება ხვალ.

კიდევ ერთი გამარჯვება

პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-13 ტურის მატჩი გაიმართა გუშინ ქუთაისში ადგილობრივ „ტორპედოსა“ და „კიევი როგის „კრილიასს“ შორის.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა. ბურთი 39-ე წუთზე გაიტანა ფარულვამ.

ტორპედოელი ფეხბურთელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: მ. კვირნაძე, შელია, სულაქველიძე, მელიქია, ოქრობაშვილი, ფარულვა, ჩახუნაშვილი (სვანაძე), ქვირია, ფისტფანიძე (სარიშვილი), ბურკაძე, გაბიჩვაძე (ა. კვირნაძე).

დუგლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სასწავლო-საწვრთნელ ბაზაზე დიღომში გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

დინამოელებმა ორიგე ტაიმში თითოჯერ მიაღწიეს წარმატებას (გოგოლაძე, მუჯირი) და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: ბაგოშიძე, რუხაძე, ჭილაია, გოგოლაძე, მუჯირი, მინაშვილი, ჩიკვაძე, ფურდიაძე, ებანოიძე, ბაზაზაშვილი, წერეთელი.

მოკლედ

კალათბურთი. ვერც ერთმა ევროპულმა გუნდმა ვერ მოახერხა „ბრაზილიური წინადობის“ გადალახვა, რომლითაც ისინი იწყებენ საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების ოკეანეგადმა მატჩების სერიას.

იტალიელებისა და ისრაელის ნაკრების შემდეგ რიო-დე-ჟანეიროში ბრაზილიელებთან წააგეს ოუგოსლავიელებმაც — 93:95. დღეს ბრაზილიის გუნდთან სანპაულუში ასპარეზზე სსრ კავშირის ნაკრები. ჩვენმა კალათბურთელებმა აქ ჩამოსვლამდე ამხანაგური მატჩი მოუგეს ლიმაში პერუს გუნდს — 96:76.

მკითხველს ვთავაზობთ ამ გათამაშების დანარჩენ შედეგებს: არგენტინა-იტალია — 72:107; მექსიკა-ისრაელი — 90:79.

ბალახის ჰოკეი. მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა — გფრ-ის ნაკრებმა ტურნეს უკანასკნელი მატჩი ბერმართა მოსკოვში ადგილობრივ „ფილისთან“. ანგარიშით 3:1 (2:0) კვლავ გაიმარჯვეს სტუმრებმა.

ველოსპორტი. ინგლისის გზებზე მიმდინარეობს ე. წ. „სარძეო რბოლა“. გუნდურ ჩათვლაში წინ არის საბჭოთა ნაკრები, პირადში — დუშანბეელი სეიდ ჰუსეინოვი.

ფრენბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდმა წარმატებით ჩაატარა ტურნე უნგრეთში — სამი მატჩიდან სამივე მოიგო.

„სპორტლოტო“

გაცნობებთ 8 ივნისს გამარჯვული „სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“ 23-ე ტირაჟის შედეგებს.

„სპორტლოტო“: 18 (რიტაფელა), 33 (რეგბი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 35 (სპიდვეი), 1 (ავიასპორტი), 3 (აკრობატიკა).

„სპორტლოტო-2“: 35 (სპიდვეი), 16 (ტანვარჯიში), 23 (ძძლეოსნობა), 26 (მოტორბოლი), 32 (წყალში ხტომა), 14 (ფრენბურთი).

ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲥᲘᲠᲒᲐ

საუკუნეთა კაზილი

საქართველოს და კავკასიის ხალხთა ისტორიულ კავშირურთიერთობათა შესწავლა ქართველოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა, რასაც დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. საყოველთაოდ არის ცნობილი ამ მიმართებით ეთნოგრაფთა, ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა და ანთროპოლოგთა კვლევის შედეგები. ამ პრობლემის გამო დიდად საინტერესოა პროფესორ ო. ჯაფარიძის არქეოლოგიურ მონაცემებზე დაფუძნებული მტკიცება ზემო პალეოლითში კავკასიის ეთნო-კულტურული ერთობის არსებობის შესახებ, რაც მეზოლითსა და ნეოლითში დაწყებული დიფერენციაციის შედეგად ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში დაშლით მთავრდება, ხოლო ძვ. წ. III ათასწლეულში — კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბებით.

ანტიკური ხანიდან, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წარმოშობიდან, საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ურთიერთობებს (რაც ისტორიულად არასოდეს შეწყვეტილა და რისი მატერიალური დასტურიც წინა პერიოდის კავკასიის არქეოლოგიურ კულტურებში მრავლად მოიძებნება) ახალი ძალა და მნიშვნელობა მიეცა. ეს ურთიერთობანი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ხასიათისაა. შუასაუკუნეებიდან კი საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთობათა იდეოლოგიურ-კულტურული საფუძველი ქრისტიანული რელიგია და კულტურა იყო, რომელიც კიდევ უფრო აშკიდროვებდა და აახლოებდა კავკასიის ხალხებს.

ეს ამოცანები როგორც საკუთრივ სათავისო იყო (ფეოდალურ-ფორმაციული ხასიათისა), ისე — საერთო კავკასიური (გარეშე მტერთაგან — ჩრდილო მომთაბარეთაგან თუ სპარეთელი ძლიერი მეზობლისაგან თავდაცვა; მთისა და ბარის საკვებ-ეკონომიური ურთიერთობანი და ა. შ.). მათი გაგება და გადაწყვეტა კი მხოლოდ კულტურის სიახლოვისა და ერთიანობის შემთხვევაში შეიძლებოდა.

იმიერკავკასიაში ქართული კულტურის ძველთა კვლევა მე-18 საუკუნის მიწურულიდან დაიწყო. მეცნიერთა თაობებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს მათ გამომზეურებასა და შესწავლას. ისინი აღმოჩენილია იმიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე. თუმცა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ უცნობიც მრავალია.

საქართველოსა და იმიერკავკასიის ქვეყნების კულტურულ ურთიერთობათა და ამ ქვეყნებში ქრისტიანობის ისტორიის კვლევისათვის საჭიროა კომპლექსურად შევისწავლოთ როგორც კონკრეტული ძეგლები (თვითეულ მათგანს, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს „თავისი“ ქვეყნის მასშტაბით, დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ენიჭება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენისას), ისე საერთოდ — მთლიანად პრობლემა.

შუასაუკუნეთა საქართველო-დაღესტნის კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა პრობლემის ყოველმხრივად, გეგმაზომიერად შესწავლისათვის 1976 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის გ. წადასას სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტს შორის დიდო ხელშეკრულება ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის ჩამოყალიბების თაობაზე, რომელიც 3-5 წლის განმავლობაში მთიან დაღესტანში ჩაატარებს ფართო მასშტაბის არქეოლოგიურ დაზვერვებსა და განსაკუთრებით საინტერესო არქეოლოგიურ კომპლექსთა სტაციონარულ არქეოლოგიურ გათხრებს. საქართველო-დაღესტნის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მოწყობა თვალსაჩინო მაგალითია ორი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა კოორდინაციისა საერთო ისტორიული პრობლემის შესასწავლად.

1976 წლის აგვისტო-სექტემბერში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ იმოქმედა ხუნძახის, სოვეტსკისა და გერგებილის რაიონებში.

დაღესტანში ქრისტიანობის არსებობა წერილობითი წყაროების მიხედვით VII საუკუნიდან XV საუკუნემდე იკვლევდება. ხუნძახში, პინსა და გაგანიდაში ეს დადასტურდა ეკლესიათა ნაშთებიც. იქ აკრეფილია მოოქიქავი და ცისფრად მოჭიქული ბრტყელი და ღარიანი კრამიტის ნატეხები. აღნიშნულ ადგილებში გათხრების ჩატარება მომავალი ექსპედიციების დროს არის გამიზნული. ავარეთში ერთადერთი, დღეისათვის შემორჩენილი ეკლესია მდ. ავარეთის ყოისუს ხეობაში, სოფელ დათუნას სიახლოვეს არსებობს. იგი თლილი ქვით ნაგები „დარბაზული“ ტიპის ეკლესიაა, რომელიც დაეგმარების კონცეფციითა და არქიტექტურული ხერხებით ორგანულად არის დაკავშირებული ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებასთან და X საუკუნის მიწურულით თუ X-XI საუკუნეების მიჯნით თარიღდება.

მეტად საყურადღებო, დამახასიათებელი ფაქტია, რომ, როგორც ეს ლიტერატურაშია დამოწმებული, XIX საუკუნის მიწურულშიც კი ამ ეკლესიისადმი ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებული „რელიგიური მოწიწებით“ იყო გამსჭვალული, რაც საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე, ქრისტიანობისდროინდელი დამოკიდებულების გადმონაშთი უნდა იყოს.

დათუნას ეკლესიას გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები სჭირდება — მისი ძველი, კრამიტის სახურავი ამჟამად მთლიანად გადავიდეა.

ქართული წერილობითი წყაროებით, XIX საუკუნის ავტორთა ცნობებითა და ადგილობრივი ხალხური გადმოცემებით, ეკლესიები არსებობდა ავარეთის სხვა მხარეებშიც (ურადა, ღალარუგუჯა, პინაჩიტლი, ზაი და სხვ.), რასაც მატერიალურად ადასტურებს ის, რომ აღმოჩენილია სხვადასხვა ორნამენტირებული ფრაგმენტები, არქიტექტურული დეტალები, სამშენებლო ქართული წარწერები და კრამიტი.

ქრისტიანულ საკულტო ძეგლებთან არის დაკავშირებული რელიეფური ქვის ფილები (ალბათ კანკელებისა), რომლებსაც მივაკვლიეთ ს. ხუნძახში. ერთ მათგანზე „სარკისებურად“ განლაგებულია სტელიზებული ფოთლები, მეორეზე კი გამოჭიქურმებულია სტილიზებული ფოთლები, გადამკვეთი წრეები და ერთმანეთთან მებრძოლი სამი მაძაცის ფიგურა, რომელთა შორის დიდი ჯვარია გამოსახული; ხოლო მესამე ფილაზე (ცუბაჩიდან) გამოსახულია მცენარეული მოტივები, წრეები, ვარდულები, ჯვარი და ცხოველები (ლომები?).

აღწერილი რელიეფების მოტივებისა და შესრულების ტექნიკის ანალოგიებს ვპოულობთ ქართული არქიტექტურის, კანკელების, მონუმენტური ფერწერის, ხეზე ქვეთისა და ქედურ ძეგლებში, რაც მათთან გენეტიკურ კავშირით ახსნება. ამავე დროს, შესაძლებელი ადგილობრივი, ლოკალური ნიშნებიც, რაც მეტად საყურადღებო ფაქტია. იგი მიუთითებს ადგილობრივი და ქართული ხელოვნების შერწყმაზე. მათ X-XI საუკუნეებით ვათარიღებთ. ავარეთიდანვე მომდინარეობს უფრო მოგვიანო ხანის ქვაზე და ხეზე კვეთის ნიმუშები, რაც ავარეთი, ქართული კულტურასთან არის დაკავშირებული.

განსაკუთრებულად აღვნიშნავთ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჯვრებისა და მათი გამოსახულებების აღმოჩენებს ჩვენს მიერ დაზვერილ რაიონებში. ისინი გვხვდება სამშენებელო ქვებზე, ქვის პატარა კვადრებზე (ზოგიერთი ძველქართული წარწერებითაც). არის პატარა და დიდი ზომის (1,5-2,2 მ.) გამოჭედილ-დაკეთებული ჯვრებთან. ეს უკანასკნელნი — ჯვარმონუმენტები (ხუნძახი, ჟოდოტლი), ეტყობა, ნათლისღების დროინდელია (შდრ. ჯვრების აღმართვის ანალოგიურ მოვლენას ადრქრისტიანული ხანის საქართველოში).

ჩვენს ხელთ არის სამარხებში მოპოვებული ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვრები, რომელთაგან ერთ-ერთი ზუსტად ანალოგიურია მთა-თუშეთის სოფელ შენაქოს VIII-XI საუკუნეებით დათარიღებული მასალისა. ჯვრების გამოსახულებანი გვხვდება უდავოდ გვიანი ხანის უტილიტარული დანიშნულების საგნებზეც (ხე, ლითონი, ქსოვილი), რაც ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოს ორნამენტულ რემინისცენციად უნდა მივიჩნიოთ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავარეთის ტერიტორიაზე ძველქართული წარწერების აღმოჩენას. ისინი დაწერილია ასომთავრულითა და ნუსხურით. ნაწილი ქართულენოვანია, ნაწილი კი ბილინგვებია — ქართულ და ავარულ ენებზე, ზოგიერთი X-XI საუკუნეების, ზოგიც შემდგომი ხანისაა. ასეთ წარწერათა რაოდენობა სულ უფრო იზრდება. მათ ჩვენმა ექსპედიციამაც მიაკვლია — ორი მათგანი ქართულენოვანია, მესამე კი, როგორც ჩანს, ბილინგვა. მათი არსებობა მიუთითებს ქართული ენისა და დამწერლობის ფართო გავრცელებაზე ავარეთში.

ექსპედიციის საყურადღებო მონაპოვარია ნუსხა-ხუცურით ნაწერი ლიტურგიკული ხასიათის ქართული ხელნაწერის 27 ფურცლის მიკვლევა XVI-XVII საუკუნეებთ დათარიღებული ანაბეჭდი ხელნაწერი წიგნის (შესწავლილია ნ. ყანჩაველის მიერ) ყდაში. იგი მახარყოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში მისმა დირექტორმა ა. კრიშტობომ მიგვაკვლევინა. უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ა. ალიევმა კი აკად. გ. მელიქიშვილის თხოვნით, ხელნაწერი შესასწავლად გადმოგზავნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ქართული ხელნაწერი პალეოგრაფიულად XVI ს. მეორე ნახევრისაა. ასეთ დათარიღებას ხარს უბამს ხელნაწერის ევროპული ქვირნშნიანი ქაღალდის დათარიღებაც (შესწავლილია რ. პატარაიძის მიერ).

ასეთია 1976 წელს ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები. ამჟამად, ექსპედიცია ზაფხულის კამპანიისათვის ემზადება.

განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავთ ამ ჭეშმარიტ გულსხმიერებასა და მხარდაჭერას, ექსპედიცია ძალუმად რომ გრძნობდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელმძღვანელი ორგანოებისაგან, რაც დიდად ეხმარებოდა მას მაღალთაან, რთულ პირობებში მუშაობისას.

გ. ლამბაშიძე,
დაღესტნის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.



სურათზე: სოფელ დათუნას ეკლესია.

ავგორის ფოტო.

მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებს

მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებს თბილისიდან გაუგზავნეს საადრეო კარტოფილის პირველი დიდი პარტია.

ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის მეურნეობებმა, რომლებიც პირველნი გამოეხმაურნენ ყუბანელთა მოწოდებას, შემჭიდროებულ ვადებში დაამუშავეს ნიადაგი, შეიტანეს საჭირო რაოდენობის სასუქები, სამჯერ გამარგლეს ნათესები. ამის შედეგად ისინი თითოეულ ჰექტარზე იღებენ 150 ცენტნერ კარტოფილს, 30 ცენტნერით მეტს, ვიდრე სოციალისტური ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.

ამ ხეზონში რაიონების მშრომელები მოსკოვსა და ლენინგრადში გაგზავნიან 30 ათას ტონა საადრეო კარტოფილს.

(საქინფორმი).

კონცერტებით ყიზლარში

ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მყოფ მწყემსებს ადიტმხატვრული ბრიგადა ეწვია, რომელსაც ხელმძღვანელობენ ყაზბეგის სარაიონო კულტსახლის დირექტორი გ. ვალიშვილი და სამხატვრო ხელმძღვანელი ლ. ჩოფიკაშვილი. ბრიგადამ კონცერტები გამართა ყაზბეგის, სნოს, კობისა და გორისეიხის კოლმეურნეობების წევრებისათვის. კონცერტებმა მაყურებელთა ტაში და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

მწყემსებმა ინტერესით მოისმინეს პარტიის ყაზბეგის რაიკომის ინსტრუქტორის ნ. შოლაშვილის საუბრები საბჭოთა საარჩევნო სისტემაზე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საუბილეო ღონისძიებებზე.

ნორნ მუსიკოსთა ხელოვნება

ადიგენი. კორორტ ბასსთუმნის მუსიკალურმა სკოლამ კონცერტი გამართა ბასსთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის კლუბში.

ნორნმა მუსიკოსებმა შეასრულეს საბჭოთა და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

მ. მეტრეველი.

ᲖᲔᲛᲝᲗᲮᲕᲔᲕᲐ

მემანქანის სიფხიზლე

მატარებელი ცხკაია-თბილისი შორაპნის გადასარბენზე მიჰქროდა, მემანქანე გიორგი ქავშილავამ შეამჩნია, რომ საშენი მასალებისაგან დაცლილი ვაგონი უელმავლოდ თავქვე მიჰქროდა დიდი სიჩქარით.

ახლა შორაპანში სამგზავრო მატარებელი თბილის-სოჩი ჩამოდგება და დაგორებული ვაგონი უბედურებას მოახლენს, გაიფიქრა ფხიზელმა მემანქანემ და იმავე წუთს შორაპნის სადგურის მორიგეს რადიოთი დაუკავშირდა, მორიგემ სასწრაფო ზომები მიიღო, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი უბედურება.

მემანქანის სიფხიზლემ მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

ნ. ლაცაბიძე,
ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 20-25, მთებში 17-22 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი. მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს, დაბლობ რაიონებში 23-28, მთებში 19-24 გრადუსი იქნება.

თბილისში დღის მეორე ნახევარში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 26-28 გრადუსი.

ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲥᲘᲠᲒᲐ

საუკუნეთა კაზილი

ქართული კულტურის ძეგლები დაღესტანში

□

სებულებათა კოორდინაციისა საერთო ისტორიული პრობლემის შესასწავლად.

1976 წლის აგვისტო-სექტემბერში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ იმოქმედა ხუნძახის, სოვეტსკისა და გერგებილის რაიონებში.

დაღესტანში ქრისტიანობის არსებობა წერილობითი წყაროების მიხედვით VII საუკუნიდან XV საუკუნემდე იკვლევდა. ხუნძახში, პინსა და გაგანიდაში ეს დადასტურდა ეკლესიათა ნაშთებიც. იქ აკრეფილია მოოქიქავი და ცისფრად მოჭიქული ბრტყელი და ღარიანი კრამიტის ნატეხები. აღნიშნულ ადგილებში გათხრების ჩატარება მომავალი ექსპედიციების დროს არის გამიზნული. ავარეთში ერთადერთი, დღეისათვის შემორჩენილი ეკლესია მდ. ავარეთის ყოისუს ხეობაში, სოფელ დათუნას სიახლოვეს არსებობს. იგი თლილი ქვით ნაგები „დარბაზული“ ტიპის ეკლესიაა, რომელიც დაეგმარების კონცეფციითა და არქიტექტურული ხერხებით ორგანულად არის დაკავშირებული ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებასთან და X საუკუნის მიწურულით თუ X-XI საუკუნეების მიჯნით თარიღდება.

მეტად საყურადღებო, დამახასიათებელი ფაქტია, რომ, როგორც ეს ლიტერატურაშია დამოწმებული, XIX საუკუნის მიწურულშიც კი ამ ეკლესიისადმი ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებული „რელიგიური მოწიწებით“ იყო გამსჭვალული, რაც საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე, ქრისტიანობისდროინდელი დამოკიდებულების გადმონაშთი უნდა იყოს.

დათუნას ეკლესიას გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები სჭირდება — მისი ძველი, კრამიტის სახურავი ამჟამად მთლიანად გადავიდეა.

ქართული წერილობითი წყაროებით, XIX საუკუნის ავტორთა ცნობებითა და ადგილობრივი ხალხური გადმოცემებით, ეკლესიები არსებობდა ავარეთის სხვა მხარეებშიც (ურადა, ღალარუგუჯა, პინაჩიტლი, ზაი და სხვ.), რასაც მატერიალურად ადასტურებს ის, რომ აღმოჩენილია სხვადასხვა ორნამენტირებული ფრაგმენტები, არქიტექტურული დეტალები, სამშენებლო ქართული წარწერები და კრამიტი.

ქრისტიანულ საკულტო ძეგლებთან არის დაკავშირებული რელიეფური ქვის ფილები (ალბათ კანკელებისა), რომლებსაც მივაკვლიეთ ს. ხუნძახში. ერთ მათგანზე „სარკისებურად“ განლაგებულია სტელიზებული ფოთლები, მეორეზე კი გამოჭიქურმებულია სტილიზებული ფოთლები, გადამკვეთი წრეები და ერთმანეთთან მებრძოლი სამი მაძაცის ფიგურა, რომელთა შორის დიდი ჯვარია გამოსახული; ხოლო მესამე ფილაზე (ცუბაჩიდან) გამოსახულია მცენარეული მოტივები, წრეები, ვარდულები, ჯვარი და ცხოველები (ლომები?).

აღწერილი რელიეფების მოტივებისა და შესრულების ტექნიკის ანალოგიებს ვპოულობთ ქართული არქიტექტურის, კანკელების, მონუმენტური ფერწერის, ხეზე ქვეთისა და ქედურ ძეგლებში, რაც მათთან გენეტიკური კავშირით ახსნება. ამავე დროს, შესაძლებელი ადგილობრივი, ლოკალური ნიშნებიც, რაც მეტად საყურადღებო ფაქტია. იგი მიუთითებს ადგილობრივი და ქართული ხელოვნების შერწყმაზე. მათ X-XI საუკუნეებით ვათარიღებთ. ავარეთიდანვე მომდინარეობს უფრო მოგვიანო ხანის ქვაზე და ხეზე კვეთის ნიმუშები, რაც ავარეთი, ქართული კულტურასთან არის დაკავშირებული.

განსაკუთრებულად აღვნიშნავთ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჯვრებისა და მათი გამოსახულებების აღმოჩენებს ჩვენს მიერ დაზვერილ რაიონებში. ისინი გვხვდება სამშენებელო ქვებზე, ქვის პატარა კვადრებზე (ზოგიერთი ძველქართული წარწერებითაც). არის პატარა და დიდი ზომის (1,5-2,2 მ.) გამოჭედ-დაკეთებული ჯვრებთან. ეს უკანასკნელნი — ჯვარმონუმენტები (ხუნძახი, ჟოდოტლი), ეტყობა, ნათლისღების დროინდელია (შდრ. ჯვრების აღმართვის ანალოგიურ მოვლენას ადრქრისტიანული ხანის საქართველოში).

ჩვენს ხელთ არის სამარხებში მოპოვებული ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვრები, რომელთაგან ერთ-ერთი ზუსტად ანალოგიურია მთა-თუშეთის სოფელ შენაქოს VIII-XI საუკუნეებით დათარიღებული მასალისა. ჯვრების გამოსახულებანი გვხვდება უდავოდ გვიანი ხანის უტილიტარული დანიშნულების საგნებზეც (ხე, ლითონი, ქსოვილი), რაც ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოს ორნამენტულ რემინისცენციად უნდა მივიჩნიოთ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავარეთის ტერიტორიაზე ძველქართული წარწერების აღმოჩენას. ისინი დაწერილია ასომთავრულითა და ნუსხურით. ნაწილი ქართულენოვანია, ნაწილი კი ბილინგვებია — ქართულ და ავარულ ენებზე, ზოგიერთი X-XI საუკუნეების, ზოგიც შემდგომი ხანისაა. ასეთ წარწერათა რაოდენობა სულ უფრო იზრდება. მათ ჩვენმა ექსპედიციამაც მიაკვლია — ორი მათგანი ქართულენოვანია, მესამე კი, როგორც ჩანს, ბილინგვა. მათი არსებობა მიუთითებს ქართული ენისა და დამწერლობის ფართო გავრცელებაზე ავარეთში.

ექსპედიციის საყურადღებო მონაპოვარია ნუსხა-ხუცურით ნაწერი ლიტურგიკული ხასიათის ქართული ხელნაწერის 27 ფურცლის მიკვლევა XVI-XVII საუკუნეებთ დათარიღებული ანაბეჭდი ხელნაწერი წიგნის (შესწავლილია ნ. ყანჩაველის მიერ) ყდაში. იგი მახარყოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში მისმა დირექტორმა ა. კრიშტობომ მიგვაკვლევინა. უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ა. ალიევმა კი აკად. გ. მელიქიშვილის თხოვნით, ხელნაწერი შესასწავლად გადმოგზავნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ქართული ხელნაწერი პალეოგრაფიულად XVI ს. მეორე ნახევრისაა. ასეთ დათარიღებას ხარს უბამს ხელნაწერის ევროპული ქვირნშნიანი ქაღალდის დათარიღებაც (შესწავლილია რ. პატარაიძის მიერ).

ასეთია 1976 წელს ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები. ამჟამად, ექსპედიცია ზაფხულის კამპანიისათვის ემზადება.

განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავთ ამ ჭეშმარიტ გულსხმიერებასა და მხარდაჭერას, ექსპედიცია ძალუმად რომ გრძნობდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელმძღვანელი ორგანოებისაგან, რაც დიდად ეხმარებოდა მას მაღალთაან, რთულ პირობებში მუშაობისას.

გ. ლამბაშიძე,
დაღესტნის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

სურათზე: სოფელ დათუნას ეკლესია.

ავგორის ფოტო.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გარდაიცვალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგრომომსახურების ეკონომიკური ინსტიტუტის ტბილისის ფილიალის დირექტორი, საქართველოს კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, 1940 წლიდან სკკპ წევრი, პროფესორი **ივანე ფაუსტის ძე სარიშვილი.